

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია,
პერსპექტივები და გამოწვევები

International Scientific Conference Dedicated
to Prof. OTAR BAKANIDZE

LITERARY STUDIES: HISTORY, PERSPECTIVES
AND CHALLENGES

თეზისები
ABSTRACTS

თბილისი/ Tbilisi
31.03.2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
უკრაინისტიკის ცენტრი
ტარას შევჩენკოს სახელობის
კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი
ფილოლოგიის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Translation and Literary Relations
Center for Ukrainian Studies
Taras Shevchenko National University of Kyiv
Institute of Philology

**პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია,
პერსპექტივები და გამოწვევები**

**International Scientific Conference
Dedicated to Prof. Otar Bakanidze**

**LITERARY STUDIES: HISTORY,
PERSPECTIVES AND CHALLENGES**

**თეზისები
ABSTRACTS**

31 მარტი 2021 31 March

საორგანიზაციო კომიტეტი:

Organizing Committee:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი (თავმჯდომარე)

Professor Nana Gaprindashvili (Chairperson)

პროფესორი ლუდმილა გრიციკი (თანათავმჯდომარე)

Professor Ludmila Hrytsyk (Cochairperson)

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

Associate Professor Ekaterine Navrozashvili

ასოცირებული პროფესორი ნინო წერეთელი

Associate Professor Nino Tsereteli

ფილოლოგიის დოქტორი ნინო ნასყიდაშვილი

Doctor of Philology Nino Naskidashvili

ფილოლოგიის დოქტორი სოფიო ჩხატარაშვილი

Doctor of Philology Sopio Chkatarashvili

ფილოლოგიის დოქტორი ივანე მჭედელაძე

Doctor of Philology Ivane Mchedeladze

ფილოლოგიის დოქტორი სოფიო თოთიბაძე

Doctor of Philology Sopio Totibadze

რეგლამენტი:

Time Limit:

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

Session Presentation – 15 Minutes

მსჯელობა – 5 წუთი

Discussions – 5 Minutes

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, უკრაინული

Conference Languages: Georgian, English, Ukrainian

ლევან ბებურიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ალექსანდრე ორბელიანი როგორც ახალი ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი

ალექსანდრე ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა ლიტერატურის მრავალ დარგში – პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში. ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული შესაძლებლობები ყველაზე ნათლად მის კრიტიკულ ნააზრევში გამოვლინდა. 50-იანი წლებიდან იგი აქვეყნებს რიგ წერილებს როგორც ზოგადლიტერატურული საკითხების, ისე კონკრეტულ მწერალთა შემოქმედების ირგვლივ.

საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის წერილი გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის „ქვრივის ლიმონების“ შესახებ. ამ სტატიაში კრიტიკოსი მსჯელობს საზოგადოდ ისტორიული ნაწარმოების სპეციფიკის თაობაზე და მიუთითებს იმ შეუსაბამოებზე, რაც ძალზე აკნინებს რჩეულიშვილის მოთხრობის მხატვრულ დონეს. წერილში „დართულს დართული“, კრიტიკოსი განიხილავს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“ და არ იზიარებს მოთხრობის მხატვრულ კონცეფციას. ალექსანდრე ორბელიანი არ მიიჩნევს გამართლებულად თავადაზნაურობის, როგორც ცალკე სოციალური ფენის, კრიტიკას. მისი თქმით, მწერალი უფრო ზოგადი, ეთიკური ხასიათის პრობლემებით უნდა ინტერესდებოდეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ორბელიანი ამჩნევს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი ძირითადი ნაკადის გამოკვეთას, ორი დასის დაბადებას, რომელთაც ის პირობითად „კონსერვატორებსა და პროგრესისტებს“ უწოდებს. ამ მოვლენას კრიტიკოსი სავსებით კანონზომიერ და მისასალმებელ ფაქტად მიიჩნევს.

ქართული ენის ბედი, მისი აწმყო და მომავალი ალექსანდრე ორბელიანის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი იყო. წერილში „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიაზედ“ ალექსანდრე ორბელიანი ეჭვქვეშ აყენებს პლატონ იოსელიანის შეხედულებას გიორგი ერისთავის ენობრივ ნოვატორობასთან დაკავშირებით. ორბელიანი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია წერიტი მეტყველების ყველა სფეროზე განვაზოგადოთ გიორგი ერისთავის კომედიების ენა, ვინაიდან იგი სწორედ კომედიური ჟანრის თხზულებებისთვის არის შესაფერი და ვერც ერთ შემთხვევაში საერთო სალიტერატურო ენის პრეტენზია ვერ ექნება. ამასთანავე კრიტიკოსი აღიარებს ერთიანი ლიტერატურული ენის არსებობის აუცილებლობას.

ალექსანდრე ორბელიანი 50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება. ნიკოლოზ ბერძნიშვილთან და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად იგი დგას მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის სათავეებთან.

Levan Beburishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State university

Alexander Orbeliani as a Critic of New Georgian Literature

Alexander Orbeliani is one of the most interesting representatives of Georgian literature of the nineteenth century. He has worked in several fields of literature – poetry, prose, drama, criticism and journalism. Alexander Orbeliani's literary abilities were most clearly revealed in his critical works. Since the 1850s, he has published a number of letters on both general literary issues and the works of particular writers.

Alexander Orbeliani's letter about Grigol Rcheulishvili's story "Widow's Lemons" is noteworthy. In this article, the critic discusses the specifics of the historical fiction in general and points out the inconsistencies that greatly diminish the artistic value of Rcheulishvili's story. In the letter "Attached to the Attachment", the critic discusses Daniel Chonkadze's "Suram Fortress" and does not share the artistic concept of the story. Alexander Orbeliani does not consider it right to criticize the nobility as a separate social stratum. According to him, the writer should be interested in more general, ethical problems.

It is noteworthy that Alexander Orbeliani notices the emergence of two main currents in Georgian public thought, the birth of two groups, which he conventionally calls "conservatives and progressives." The critic considers this event as a completely lawful and welcome fact.

The fate of the Georgian language, its present and future was one of the main thoughts of Alexander Orbeliani. In his letter "A Few Words on Divorce Comedy", Alexander Orbeliani questions Platon Ioseliani's views on Giorgi Eristavi's linguistic innovation. Orbeliani points out that it is impossible to generalize the language of Giorgi Eristavi's comedies in all spheres of written speech, as it is suitable for works of the comedy genre and in no case can it claim a common literary language. At the same time, the critic acknowledges the need for a unified literary language.

Alexander Orbeliani is one of the most prominent figures in Georgian literature of the 1850s, and together with Nikoloz Berdznishvili and Mikheil Tumanishvili, he stands at the forefront of nineteenth-century Georgian literary criticism.

Simone Attilio Bellezza

University of Naples Federico II

What Was Soviet and What Was Ukrainian in the Ukrainian Shistdesiatnytstvo

This speech will present a brief history and the main characters of the Ukrainian shistdesiatnytstvo from the point of view of political and social history. The analysis will be divided into three parts which correspond to the three main evolutionary phases of the movement: first we will analyze the origins of the shistdesiatnyky to understand how this generation of intellectuals and artists gave birth to a renaissance of national culture in Soviet Ukraine. This part will be done essentially on the basis of the cases of Lina Kostenko, Ivan Dziuba, Vasyl Symonenko and Les Taniuk. The latter was the founder of the Creative Youth Club, which was the first meeting place for the members of the developing movement. In the second part I will present the main initiatives of the shistdesiatnyky in the field of culture and civil activism, whose aim was to build a new sense of belonging to the Ukrainian nation (the word used in those years was *hromads'kist' – громадськість*). I will describe the struggle of the shistdesiatnyky to achieve greater freedom of expression and respect for the cultural needs of the Ukrainian people. The third part of the speech will examine the reasons for the weakness of the shistdesiatnytstvo as a political movement and describe the repressive strategy of the Soviet security organs which, from 1968 to 1972, were able to silence almost all the representatives of this movement for the renewal of Ukrainian society. Finally, I will attempt a general assessment of the movement to understand to what extent the shistdesiatnytstvo was a pre-eminently national cultural revival

movement, what were the similarities with the wider Soviet cultural universe and whether it was really possible that a genuine Ukrainian national state was born from the Soviet Ukraine of the 1960s.

Tetiana Belimova

*Shevchenko Institute of Literature of the National Academy
of Sciences of Ukraine*

Early time in The Novel “Chocolat” by Joanne Harris

The works of British writer Joanne Harris (1964) are still little known to the wide public in Ukraine, at the same time they have received recognition in the world of English literature. The novel “Chocolat” (1999) has made the author famous and popular due to the theme of memory and reassessment of worldviews and values, and it has been translated into many languages and filmed.

As time and space of her Harris work, the author chooses the French town of Lansquenet-sous-Tannes in the late 1970s, when conventionalities and social precepts determined the fate of people in a province that is far away from large cities. The writer uses the symbol of carnival as an action that can bring with it the wind of change. Vianne Rocher, a woman with a strange profession, and her little daughter Anouk arrive in the town with the carnival winds. They open a chocolaterie «La Céleste Praline» in the central square and radically change the life of Lansquenet-sous-Tannes.

The central theme of “Chocolat” is a memory that does not let go. Due to the wounds of time, the main characters can not go ahead and do not see the future. The traumatic experience needs to be rethought, to relive some memories that have long been immersed in

artificial amnesia. At the same time, the writer describes real fight of people for their rights and needs, their struggle with public conventionalities and imposed stereotypes. Such a harsh moral censorship is personified by Francis Reynaud, the village priest. He is a “Black man” wearing a cassock to cover up his crimes. Vianne Rocher opposes him. She represents the desire for freedom, mercy, charity, in other words the officially declared values that remain in society at the level of manifesto. Vianne lives not only contrary to all the stereotypes, overcoming her own wounds of time, she tries to help the new environment, in fact, the outcast, pushed out of the community in the provincial Lansquenet-sous-Tannes. Social drama and history lessons, self-healing memory are the main thematic vectors of the world bestseller by Joanne Harris.

მზისა ბუსკივაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა და ქალი ავტორების საკითხი თურქულ ლიტერატურაში

ლიტერატურაში ქალთა საკითხის კვლევა დაკავშირებულია ფემინისტურ თეორიებთან, რომელთა გავლენით საფუძველი ჩაეყარა ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკას. ფემინისტური კრიტიკისათვის მნიშვნელოვანია ქალის, როგორც ავტორისა და მკითხველის, კვლევა. თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ქალი ავტორების რაოდენობა თანდათან მატულობს. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხიც.

ქალმა ავტორებმა ლიტერატურაში ახალი თემები შემოიტანეს და სამყაროს ახლებური აღქმის პერსპექტივა განავითარეს. აქედან გამომდინარე, თურქულ ლიტერატურაში ქალი ავტორების მიერ გაშუქებული თემების გაანალიზება საინტერესო მასალას გვაძლევს, ზოგადად, ქალის ისტორიისა და გამოცდილების დადგენის თვალსაზრისით. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკის ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია ფემინისტური თეორიისათვის, ვინაიდან სწორედ აღნიშნული „პრობლემური ველის“ შიგნით დაისვა ისეთი კონცეპტუალური საკითხები, როგორებიცაა: ქალის სუბიექტობის სტრუქტურის საკითხი, რომელიც მამაკაცის სუბიექტობისგან განსხვავდება; ქალთა მეტყველების, ენისა და აზროვნების თავისებურების საკითხი; ქალური გამოცდილებისა და სექსუალობის საკითხი; რეპრეზენტაციის ქალური სტრატეგიისა და ქალის პოლიტიკური სტრატეგიის საკითხი. თურქულ ლიტერატურაში მკვლევრების მხრიდან ქალი მწერლების შემოქმედებით დაინტერესებამ ფემინისტური კრიტიკისადმი ინტერესი გაზარდა. ქალის „მოლაპარაკე სუბიექტად“ აღიარება მას საშუალებას აძლევს, დაამსხვრიოს სოციომითოლოგიზებული ხატი და საკუთარი მსოფლმხედველობიდან და პერსპექტივიდან შეაფასოს გარე სამყარო. რატომ არის მნიშვნელოვანი ქალი ავტორის, როგორც „მოლაპარაკე სუბიექტის“, იდენტიფიკაციის საკითხი? უპირველეს ყოვლისა, სწორედ იდენტიფიკაციისას ვლინდება ფენომენი „მოლაპარაკე სუბიექტის“ სირთულე და ამბივალენტურობა. „ქალთა პროზასთან“, როგორც ფემინურ იდეასთან, იდენტიფიკაცია ქალ ავტორებში აღნიშნული იდეისგან გაუცხოებასაც იწვევს. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ ექსტრალიტერატურული ფაქტორებით, არამედ იმით, რომ ქვეცნობიერად ქალები პატრიარქალური ენობრივი ტრადიციის მატარებლები არიან. ქალთა შემოქმედება განიხილებოდა არა როგორც წერის ტექნოლოგიური შედეგი, არამედ როგორც ქალის ბუნებრივი კრეატიულო-

ბისა და ფსიქოლოგიური თავისებურების შედეგი. ქალური მარგინალური ტოპოლოგიის ტიპიურ გამოვლინებად ქალების მიერ ფსევდონიმად მამების, ქმრების სახელების, ან ანონიმურობის მიზნით ფსევდონიმების გამოყენება ითვლება. ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ცნება „ქალთა ლიტერატურის“ ჩამოყალიბებას. „ქალთა ლიტერატურის“ ცნება, გულისხმობს ქალის მიერ შექმნილი თემების, ჟანრების, ლიტერატურის სტრუქტურათა შესწავლას. საგნების რიცხვში კი შედის ფსიქოდინამიკის, ლინგვისტიკის და ქალური ენის დინამიკის, ქალის კარიერის ინდივიდუალური და კოლექტიური ტრექტორიის, ლიტერატურის ისტორიისა და ცალკეულ მწერალ ქალთა ნაწარმოებების შესწავლა. იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი უჭირავს ქალს „მაღალ ლიტერატურად“ მონათლულ, პატრიარქალური დომინანტებით გაჯერებულ შემოქმედებით სივრცეში საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ თურქეთში „ქალთა ლიტერატურის“ განვითარების პერსპექტივებზე. გავაანალიზებთ შუა საუკუნეების, თანზიმათის პერიოდის, რესპუბლიკის პერიოდის პირველი და მეორე ნახევრის ლიტერატურაში ქალი მწერლების ადგილის განსაზღვრის საკითხს. აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ქალი პოეტებისა და მწერლების გამოცდილების მაგალითზე გამოვავლენთ იმ სირთულეებს, რომელთა გადალახვა მოუწიათ და დღესაც უწევთ ქალ ავტორებს საკუთარი იდენტობის მოპოვების გზაზე. განვიხილავთ ქალი ავტორების ცნებების „ქალთა ლიტერატურა“ და „ქალი მწერალი“ ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს. ხაზს გაესმევა იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც აღნიშნული ცნებებისადმი უარყოფით დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

Mzisa Buskivadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Feminist Literary Criticism and the issues of Women Writers in the Turkish Literature

In the literature, study of women's issue is related to the feminist theories with the influence of which feminist criticism of literature was formed. Study of women, as authors and as reader is of great significance in feministic criticism. In modern Turkish literature number of women authors increases gradually. Their contribution in development of national literature is indeed very great. The issue of identification of women authors is of significance. Women authors brought new themes in literature and developed the new perception of the world. Based on all this, analysis of the issues elucidated by women authors in Turkish literature provides very interesting materials, in general, with respect of determination of women's history and experience. Phenomenon of feminist criticism of literature is very significant for the feminist theory, as within this "problematic field" were stated such conceptual issues as: the issue of women's subjectivity structure, which is different from men's subjectivity; the issue of nature of women's speech, language and thinking; the issue of female experience and sexuality; the issue of female representation strategy and female political strategy. Increased interest of the researchers to the works of women writers caused interest to the feminist criticism. Recognition of woman as a speaking subject allows her to break the socially-mythologized image and assess the external world pursuant to her own world view and perspective. Why the issue of identification of woman author,

as the “speaking subject” is of such significance? First of all, this is the process of identification, which reveals complexity and ambivalent nature of the phenomenon of “speaking subject”. In the world, where the feminine values are rejected, women authors attempt to gain their own place. This is the step requiring courage and certain self-consciousness. Identification with the “women’s prose” as the feminine idea, can even cause estrangement with the mentioned idea in female authors. This is caused not only by the extra-literary factors but also by the fact that subconsciously, women are carriers of patriarchal language traditions. Characteristics of marginal topology of women authors are basically conditioned by the single fact. In the culture they were primarily perceived as women and only after this – as writers or poets. And reason of this was association of the literary discourse with the female body. It implies affective, emotional and sensitive nature. Women’s works were regarded not as the technological outcome of writing but as the result of natural creativity and psychological characteristics of women. Use of the names of their fathers or husbands or other pen names by women for anonymity could be regarded as typical manifestation of feminine marginal topology. The issue of identification of women authors is directly related to formation of the concept of “women’s literature”. Concept of “women’s literature” implies studying of the themes, genres, literary structures created by women. List of the subjects includes study of psychodynamics, linguistics and dynamics of feminine language, individual and collective trajectories of women’s carriers, history of literature and works of certain women writers. We shall consider the concept of “women’s literature” in details, as well as the issue of defining of the place of women writers in the literature of Tanzimat period, first and second halves of the republic period. On the

example of experience of women poets and writers of the mentioned period, we shall reveal the difficulties, which they had to overcome and which are to be overcome by women authors even now, on their way for gaining of their identity. We shall discuss the opinions dealing with the concepts of “women’s literature” and “female writer”; we shall emphasize the factors playing significant role for the negative attitude towards the mentioned concepts.

ნანა გაფრინდაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

იმპერია და მისი მითები: წარმოსახვითი რეალობის რეპრეზენტაცია ბელადის სახის მაგალითზე ქართულ სოცრეალისტურ ლიტერატურაში

იმპერიების მართვის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იდეოლოგიური მანქანის „გამართულ“ მუშაობას. ისეთი ადმინისტრაციული ერთეულების მართვა, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების, ენისა და კულტურის მატარებელი ადამიანებისაგან შედგება, ბევრად უფრო ადვილი ხდება, როცა ამ საქმეში ერთვება ფიქციის ენა და საერთო მითები. ამ მითებს, როგორც წესი, რეალობასთან კავშირი ნაკლებად აქვს და ამიტომაც ეწოდებათ „სოციალური კონსტრუქცია“ თუ „წარმოსახვითი რეალობა“.

საქართველომ, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, გამოიარა კოლონიური ეპოქის უკანასკნელი ეტაპი ტოტალიტარული კომუნისტური სისტემის პირობებში და, შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურით ტირაჟირებული საბჭოთა მითები

კოლონიური ეპოქის ქართული სალიტერატურო სინამდვილისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

საბჭოთა ეპოქის მითების კვლევა იძლევა კოლონიური ეპოქის სულისკვეთების, საბჭოთა ცხოვრების მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებების საინტერესო კუთხით დანახვისა და გაშუქების შესაძლებლობას.

ქართულ სოცრეალისტურ ლიტერატურაში, ანუ „სახელმწიფო მითების ოფიციალურ საცავში“ (კატერინა კლარკი) უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა მითს დიდი საბჭოთა ოჯახის შესახებ, სადაც უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა მამის/ბელადის/სტალინის/ლენინის სახეს.

ამ მითების ათვისება და მხატვრული ხორცშესხმა მეტად შთამბეჭდავად მოხდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში, უამრავი ლექსი მიეძღვნა ბრძენი მამის, სტალინის/ლენინის, არქეტიპს. ისინი სოციალისტური რეალიზმის იდეალებისა და ესთეტიკის, პროლეტარული მწერლობის ფასეულობების ამსახველი ტიპური ნიმუშებია. პოეტები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო შთამბეჭდავად, ამაღელვებლად, მსუყე პოეტური სამკაულებით შეამკობს ბელადს.

ადამიანების საბჭოთა მითებთან ზიარებას სოცრეალისტური ლიტერატურა საბავშვო ბალის ასაკის ბავშვებიდან იწყებდა, რათა მარტივად და ორგანულად შეერთებოდნენ ისინი მომავალში კომუნიზმის მშენებელთა რიგებს. სოცრეალისტური საყმანვილო ლიტერატურა ერთგვარად ძალადობდა ბავშვების სათუთ ფსიქიკაზე, კომუნიტურ იდეებს უნერგავდა მათ და ასე ამახინჯებდა მათ სულიერ სამყაროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბელადის თემა ოფიციალურ თემად იყო მიჩნეული და მას ცენზურა უმკაცრესად აკონტროლებდა. ოფიციალური სქემის ზედმიწევნით დაცვა ყველა მწერალს მოეთხოვებოდა..

საბჭოთა ლიტერატურა, სოცრეალიზმის კანონიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, აქტიური მონაწილეობა მიეღო საბჭოთა მითების მხატვრულ ხორცშესხმასა და გავრცელებაში. ასე ყალიბდებოდა საბჭოური ნარატივი. საბჭოთა მითოლოგიის მთავარი დანიშნულება იყო, მითებით ჩაენაცვლებინათ სინამდვილე და ხალხს ბედნიერად ეცხოვრა არა რეალურ, არამედ ილუზიურ, მითების სამყაროში.

Nana Gaprindashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Empire and its Myths: Representation of Imaginary Reality using the Example of a Leader in Georgian Socialist Realism

In Georgian Socialist Realism, the most important place in the process of ruling empires is the “proper” work of the ideological machine. Ruling administrative units made up of people of different nationalities, languages and cultures becomes much easier when the language of fiction and common myths is involved. These myths are not connected with reality and therefore are referred to as the “social construction” or “imaginary reality”.

Georgia, like other post-Soviet countries, went through the last stage of the colonial era under a totalitarian communist system and, consequently, Soviet myths reproduced in fiction were a common occurrence in the Georgian literary reality of the colonial era.

The study of the myths of the Soviet epoch provides an opportunity to observe the spirit of the colonial era, the artistic and aesthetic peculiarities of Soviet life from an interesting angle.

In Georgian Socialist Realism, or the “Official Repository of State Myths” (Katerina Clark), the most important place was occupied by the myth of the great Soviet family, where the image of father/ leader / Stalin / Lenin was especially prominent.

The assimilation and artistic embodiment of these myths took place in Georgian Soviet poetry with numerous poems dedicated to the archetype of the wise father, Stalin / Lenin. They are typical examples of the ideals and aesthetics of socialist realism and the values of proletarian literature. Poets seem to compete with each other over who will adorn the leader with more impressive, exciting, rich poetic jewellery.

Literary works in Socialist Realism were presented to kindergarten-age children so that they could easily and organically join the cohort of communism builders in the future. Socialist realism literature for children somehow abused the tender psyche of children, instilled communist ideas in them, and thus distorted their spiritual world.

It should be noted that the theme of the leader was considered an official topic and it was strictly controlled by censorship. Strict adherence to the official scheme was required by all writers.

Soviet literature, under the law of Socialist realism, was obliged to take an active part in the artistic embodiment and dissemination of Soviet myths. This is how the Soviet narrative was formed. The main purpose of Soviet mythology was to replace reality with myths and make people live happily in a world of myths, but not in reality.

ელენე გავეშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურული სალონები XIX საუკუნეში (ქუთაისის საოჯახო კულტურული ცხოვრებიდან)

საქართველოში სულიერების ეროვნულ საფუძველს ოდითგანვე ოჯახი წარმოადგენდა. ის ინახავდა ერის საუკეთესო ტრადიციებს, ავითარებდა ეროვნულ კულტურას, თუკი რამ კარგი შემოინახა ხალხმა ის უპირველეს ყოვლისა ოჯახის წყალობით მოხდა. ოჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება მით უფრო მაშინ, როცა საქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკრებულოებით.

ქუთაისში ყოველთვის მაძლავრობდა ოჯახის ინსტიტუტი. ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა შეკრების ყველაზე სტაბილური ადგილები იყო ტრადიციული ქართული ოჯახები, რომლებიც ერთგვარ ლიტერატურულ სალონებს წარმოადგენდნენ. ქართული პერიოდული პრესის სიმცირისა და სიღარიბის გამო კულტურისა და მწერლობის მოყვარულნი თავიანთ შემოქმედებასა და აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ შინაურულ საღამოებზე. ასეთ შეკრებებზე უმეტეს შემთხვევაში ეცნობოდნენ ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ ეროვნული კულტურის საერთო საჭირობო საკითხებზე.

მე-19 საუკუნის ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი. ახალი პოეტური სიტყვის აკვანი. ქუთაისში საოჯახო-ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ლოლბერიძეების დიდი ოჯახი, რომელმაც აღზარდა ხუთი საუკეთესო მამულიშვილი. ოჯახის უფროსი შვილი, ლიტერ-

ატურული სალონის წარმმართველი, ქართული კულტურის დიდი ქომაგი და მეცენატი იყო პირველი უმაღლეს დამთავრებული კაცი იმერეთში, იურისტი გიორგი ლოლობერიძე კაცი, რომელმაც ევროპულ ყაიდაზე წვერულვაშგაპარსულმა პირველმა გაბედა საზოგადოებაში გამოსვლა.

ლოლობერიძეების სახლი მასპიძლობდა ქართული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს – აკაკის, სერგეი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმ. ბაქრაძეს, სოლომონ ლეონიძეს და სხვ., რომლებიც საუბრობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, პოლიტიკაზე, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. ამ სახლში 1858 წელს გამართულა პირველი ქართული წარმოდგენა, გ. ერისთავის „გაყრა“, სანამ შეიქმნებოდა პროფესიული თეატრი.

ქართული კულტურის მოღვაწეთა შეკრებებით არაერთი ოჯახი იყო ცნობილი ქუთაისში. სალონური ცხოვრება ჩქეფდა გოკიელების, ხეჩინაშვილების, მიქელაძეების, ოისელიანების და სხვათა ოჯახებში. და სწორედ ასეთმა ოჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული კულტურა.

Elene Gegeshidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Literary salons in the XIX century (From Kutaisi family cultural life)

The national basis of spirituality in Georgia has always been the family. He kept the best traditions of the nation, developed the national culture, if things were kept good by the people it happened first of all thanks to the family. Families saved and strengthened

Georgian art, especially when Georgia was not pampered by cultural institutions, theaters, creative unions, and public councils.

The family institute has always been stronger in Kutaisi. The most stable gathering places for Georgian writers and cultural figures were traditional Georgian families, which were a kind of literary salon. Due to the scarcity and poverty of the Georgian periodical press, culture and literature lovers shared their creations and thoughts with each other at home evenings. At such gatherings, in most cases, previously unpublished works were discussed, and common issues of national culture were discussed.

Kutaisi was the center of the Georgian social and intellectual movement in the 19th century. The cradle of a new poetic word. The family-literary salon in Kutaisi was represented by a large family of Ghoghoberidzes, who raised five of the best patriots. The eldest son of the family, the head of the literary salon, a great supporter and patron of Georgian culture, was the first graduate in Imereti, lawyer Giorgi Ghoghoberidze, the first man who dared to speak in public on the European Kaida.

The Ghoghoberidzes' house hosted brilliant representatives of Georgian culture – Akaki, Sergey Meskhi, Niko Nikoladze, Dim. Bakradze, Solomon Leonidze, etc., who talked about literature and art, politics, read new works. The first Georgian performance was held in this house in 1858, G. Eristavi "Divorce" before the creation of a professional theater.

Many families in Kutaisi were famous for the gatherings of Georgian cultural figures. Salon life flourished in the families of Gokieli, Khechinashvili, Mikeladze, Oiseliiani and others. Families saved and strengthened Georgian culture.

ელენე გოგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰანს ქრისტიან ანდერსენის „ზულბულისა“ და „თოვლის დედოფლის“ ადრეული ქართული თარგმანები

ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების პირველი თარგმანები დანიურიდან ევროპულ ენებზე მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოჩნდა, ძალიან მალე, რაც მან თავისი პირველი საბავშვო ზღაპრების კრებული „Eventyr, fortalt for Børn. Første Samling“ გამოაქვეყნა კოპენჰაგენში 1835 წელს. საქართველოში ანდერსენის ცალკეული ზღაპრების ქართულ ენაზე თარგმნა 1870-იან წლებში დაიწყო. მე-19 საუკუნის მიწურულს ქართულ პერიოდულ გამოცემებში, საბავშვო ჟურნალებსა და ბროშურებში ინტენსიურად იბეჭდებოდა უცხოური ზღაპრების თარგმანები გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენებიდან: მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები და ლეგენდები, მოთხრობები „ათას ერთი ღამიდან“, ზღაპრები ძმები გრიმების „საბავშვო და საოჯახო ზღაპრების“ კრებულიდან, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრები. გარდა ამისა, ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში ქვეყნდებოდა შემეცნებითი ხასიათის წერილებიც დანიელი მწერლის ბიოგრაფიის შესახებ.

მოხსენების თემაა ანდერსენის ნაწარმოებების გამოუქვეყნებელი ქართული თარგმანები მე-19 საუკუნის 70-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით. ანდერსენის ზღაპრების ცნობილ ქართულ თარგმანებს (ნინო ნაკაშიძე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, თედო სახოკია, დიმიტრი ნახუცრიშვილი, სამსონ ღონლაძე და სხვ.) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს უცნობი ხელნაწერი, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობით მოღ-

ვანეობას უკავშირდება. „ბულბული“ და „თოვლის დედოფალი“ ანდერსენის შემოქმედებაში საყოველთაოდ აღიარებული ზღაპრებია, რომლებიც მუდამ ჩართულია რჩეულ კრებულებში და სხვადასხვა მხატვრის მიერ დასურათებული ხელახლა გამოიცემა. უცნობი ქართული ტექსტი სწორედ ამ ორი ზღაპრის თარგმანს შეიცავს.

Elene Gogiasvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Early Georgian Translations of “The Nightingale” and “The Snow Queen” by Hans Christian Andersen

The fairy tales by Hans Christian Andersen were first translated from Danish into European languages in the 1840ies, almost immediately after the appearance of his first book of tales for children *“Eventyr, fortalt for Børn. Første Samling”* (Copenhagen, 1835). In 1870ies, in Georgia appeared the first translations of some Andersen’s stories. In the late 19th century, in Georgian periodicals, journals for children and small booklets were printed foreign fairy tales translated from German, French, English and Russian languages: folktales and legends of the world, tales from *“The Thousand and One Nights”*, fairy tales from the *“Children’s and Household Tales”* by Grimm Brothers, and stories by Hans Christian Andersen too. In journals for children appeared selected fairy tales by Andersen as well as biographical notes about him.

The paper deals with unpublished Georgian translation in the 1870ies. In chronological order, the unknown manuscript was created earlier than the published translations of Andersen’s fairy tales by

well-known Georgian writers (Nino Nakashidze, Anastasia Tumanishvili-Tsereteli, Tedo Sakhokia, Dimitri Nakhutsrishvili, Samson Gongadze etc.). The manuscript belongs to the folklore collection of the Society for the Spreading of Literacy among Georgians. “The Nightingale” and “The Snow Queen” are Andersen’s most highly acclaimed fairy tales. They are regularly included in selected tales of his work and frequently reprinted in illustrated storybook editions for children. The unknown Georgian text includes the translations these fairy tales.

გიორგი გოცირიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მხატვრული ლიტერატურა ინფორმაციული რევოლუციის კონტექსტში

ინფორმაციულმა რევოლუციამ სრულიად შეცვალა საკომუნიკაციო სივრცე და კომუნიკანტთა როლებრივი პარტიტურა, რაც მხატვრული ლიტერატურის ფუნქციონალურ სტატუსშიც აისახა.

ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესსა და კულტურის საკვანძო ღირებულებების დამკვიდრებაში გადამწყვეტ როლს ინტელექტუალურ ადრესატზე ორიენტირებული მხატვრული ლიტერატურა თამაშობდა, რომელიც ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე საზოგადოებრივი ცნობიერების პრიორიტეტებსა და მის საკომუნიკაციო სტრატეგიებს განსაზღვრავდა.

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებამ, რომელიც მასობრივი კულტურის ბაზაზე აღმოცენდა, ახალი ტიპის ადრე-

სატი წარმოშვა, რომლის გემოვნება მასკომუნიკაციის ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მხატვრული ლიტერატურის ტრადიციებზე გაზრდილ ინტელექტუალურ ადრესატის (რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში უმცირესობას წარმოადგენს) გემოვნებისგან.

ლიტერატურის ფუნქციონალური არეალის შევიწროებამ მასკომუნიკაციის საშუალებების გააქტიურება გამოიწვია, რომლებმაც მხატვრულ ლიტერატურას ფაქტობრივად წაართვეს ნორმატიული ეტალონის ფუნქცია და სათავე დაუდეს აქსიოლოგიურ ქაოსსა და სტილურ აღრევას.

საბჭოთა რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ მხატვრულ ლიტერატურა, რომელიც წერილობითი კულტურის პროდუქტი იყო, დაუპირისპირდა კომუნიკაციის ზეპირ ფორმას, რომელიც საკომუნიკაციო სივრცეში „ცოცხალი სიტყვის“ დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული.

თუ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ნებისმიერი საჯარო გამოსვლა წინასწარ შეთანხმებული უნდა ყოფილიყო შესაბამის სტრუქტურებთან და მკაცრად კონტროლდებოდა, თავისუფალმა სიტყვამ ქუჩის მიტინგებიდან საპარლამენტო ტრიბუნებზე გადაინაცვლა და საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა ქართული მეტყველების კულტურა.

მხატვრული ლიტერატურის ფუნქციონალური არეალის გაფართოების საჭიროებამ, რაც მასობრივი კულტურის ესთეტიკურ პრიმიტივიზმსა და მდარე ენობრივ გემოვნებასთან ბრძოლის აუცილებლობით იყო გამოწვეული, ლიტერატურული ტექსტი ინტერნეტ-სივრცეში განათავსა, რითაც გაამარტივა მასზე წვდომა და მეორე მხრივ, ახალგაზრდა თაობის ინფოსფეროშიც მოხვდა.

Giorgi Gotsiridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Fiction In The Context of Informational Revolution

Informational revolution has completely changed communicational space and communicants's role score what immediately reflected in functional status of literature.

In a process of national consciousness formation and establishing the key values of culture the crucial role was played by fiction, oriented to intellectual addressee, which had defined priorities of social consciousness and its communicational strategies until the informational society formed.

Formation of Informational Society based on Mass Culture created new type of addressee, whose taste was formed based on mass communicational texts and was significantly different from a taste of intellectual addressee, brought up on fiction traditions (who represent minority in every country).

Narrowing of a functional area of fiction caused the Mass Communication activation, which actually deprived fiction of the function of normative standart and established axiological chaos and stylistic confusion.

Fiction, after Soviet Union collapsing as a product of writing culture opposed the oral forms of communication which was linked to returning the "live word" in communicational space.

Unlike Soviet times when every public speech was coordinated with corresponding structures and was strictly controlled, free speech moved from street manifestations to Parliament tribune and caused big issues to Georgian speech culture.

The necessity of widening functional area of fiction which was caused by necessity of struggle with aesthetic primitivism and bad taste of Mass Culture put literary text into the internet space that simplified the access to it and on the other hand stepped into the informational sphere young of generation.

დავით გოცირიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

კულტურათშორისი კომუნიკაცია და ო. ბაქანიძის სამეცნიერო სკოლის პრინციპები

ო. ბაქანიძის სამეცნიერო სკოლის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურათა დიალოგის თემას, რომელიც უაღრესად აქტუალური გახდა ბოლო პერიოდის მსოფლიო სინამდვილეში, რასაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების არეალის გაფართოებამ. შეიცვალა კულტურათა ურთიერთობის ფორმატი, საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა წინაშე დადგა სრულიად კონკრეტული ამოცანა – შექმნილ ვითარებაში გაეაზრებინათ სხვადასხვა ქვეყანასთან (მათ შორის, ისეთ ქვეყნებთან, რომლებთანაც აქამდე შეხების წერტილები სრულიად არ ჰქონიათ) ორმხრივი ურთიერთობის პრინციპები.

გლობალურ სამყაროში საქართველოს თვითდამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული კულტურათშორისი დიალოგის ეფექტური წარმართვა წარმოადგენს. ამ დიალოგის პროცესში იკვეთება უნი-

ვერსალური და სპეციფიკური მიდგომები ამა თუ იმ მოვლენისა და ეთნოკულტურული ღირებულებების მიმართ, ვლინდება პერსპექტიული დაპირისპირებისა და თანამშრომლობის სფეროები. ინტერკულტურული ურთიერთობა, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესია დამოკიდებული, შეიძლება წარიმართოს როგორც პოლიტიკურ და დიპლომატიურ, ასევე, ყოფით, პიროვნულ, არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე.

ფრანკლინ რუზველტისეული ფორმულა: „ცივილიზაცია რომ გადარჩეს, ჩვენ უნდა განვავითაროთ ადამიანთა ურთიერთობების მეცნიერება, ყველა ხალხის უნარი, მათ შორის სრულიად განსხვავებულის, მშვიდობიანად იცხოვროს ერთად ერთ მიწაზე“-უალრესად ზუსტად გამოხატავს ო.ბაქანიძის სამეცნიერო სკოლის მთავარ პრინციპს. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ოთარ ბაქანიძემ ზუსტად განსაზღვრა ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების ვექტორი და მოახდინა ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანმცოდნეობის სინთეზი, რითაც გაუსწრო კულტურათშორისი კომუნიკაციის, როგორც ახალი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების პერიოდს. ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი გამონათქვამი: „ზოგიერთი ადამიანის ნიჭი ნაკლებად ჩანს ვიდრე ეს სინამდვილეშია, ვინაიდან ის საკუთარ თავს ძალზე დიდ ამოცანებს უსახავს“ – ზუსტად შეესაბამება სიტუაციას, რომლის მიღმაც მისმა თანამედროვეებმა ვერ შენიშნეს ახალი მიმართულებებისა და სამეცნიერო სკოლის კონტურები.

მოხსენებაში განხილულია ის სპეციფიკური გზა, რომელმაც ოთარ ბაქანიძე სამეცნიერო მიმართულებიდან სამეცნიერო სკოლის შექმნამდე მიიყვანა.

David Gotsiridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Intercultural communication and the principles of O. Bakanidze's scientific School

In the assessment of the Scientific School of O. Bakanidze, special importance is attached to the topic of cultural dialogue, which has become very relevant in the modern world reality, which, of course, contributed to the expansion of the area of international communication. The format of cultural relations has changed, and independent countries have appeared on the international scene, which face a very specific task – to understand the principles of bilateral relations with different countries (including countries with which they previously had no points of contact) in the modern world.

One of the most important conditions for Georgia's self-assertion in the global world is the establishment of an effective scientifically based intercultural dialogue. In the process of this dialogue, universal and specific approaches to a particular event and ethno-cultural values are identified, areas of promising confrontation and cooperation are identified. Cross-cultural relations, on which the process of peaceful coexistence often depends, can take place both at the level of political and diplomatic relations, and at the level of personal, informal relations.

The formula of Franklin Roosevelt: "If civilization is to survive, we must cultivate the science of human relationships – the ability of all peoples, of all kinds, to live together, in the same world at peace" – very accurately expresses the main principle of the scientific school of O. Bakanidze.

Back in the 70s of the twentieth century, Otar Bakanidze precisely defined the vector of development of philological science and synthesized two directions – the theory of literary relations and translation studies, anticipating the period of formation of intercultural communication as a new scientific discipline. The famous statement of Friedrich Nietzsche: “Some people appear to be more meager in talent than they are, just because the tasks they set themselves are always too great” – quite corresponds to the situation in which his contemporaries did not notice the contours of a new direction and a new scientific school.

The report discusses the specific path that led Otar Bakanidze from the scientific direction to the creation of a scientific school.

ზურაბ გოცირიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

პოსტმოდერნიზმი და მასობრივი კომუნიკაცია

21-ე საუკუნის დასაწყისში მასობრივი ინფორმაციის სფეროში არსებული აქსიოლოგიური ქაოსის თეორიული გააზრების მცდელობები პოსტმოდერნისტულ პარადიგმას უკავშირდება, თუმცა, ამ უკანასკნელის ტიპოლოგიური მრავალფეროვნების გამო, აღნიშნული მოვლენის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია ვერ მოხერხდა, რადგან საკმაოდ არაერთგვაროვან აქსიოლოგიურ პრინციპებს ეფუძნებოდა.

განსხვავებით ფილოსოფიისგან, სადაც პოსტმოდერნიზმმა ფილოსოფიური სისტემის სტატუსი ვერ დაიმკვიდრა, ხელოვნე-

ბასა და ლიტერატურაში მან დიდი აღიარება მოიპოვა და მნიშვნელოვანი როლიც ითამაშა. პოსტმოდერნიზმის ფენომენი დაკავშირებულია კულტურის სხვადასხვა სფეროსთან (ფილოსოფიასთან, მხატვრულ ლიტერატურასთან, ფერწერასთან, თეატრთან და სხვ.) და ამ დარგებში განსხვავებული სახით მანიფესტირდება.

პოსტმოდერნისტული ცნობიერების ზეგავლენა მედიაზე (კერძოდ ქართულ მედიაზე) სპეციფიკური სახით ვლინდება, რაც თავს იჩენს როგორც მედიატექსტის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მოდიფიკაციაში, ასევე მორალურ-ეთიკური პრინციპების ტრანსფორმაციაში.

თანამედროვე მასკომუნიკაციის ფენომენის გააზრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი კავშირი პოსტმოდერნისტულ კონცეფციასთან, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში დომინანტურ როლს თამაშობდა დასავლეთის კულტურაში, ხოლო ქართულ ცნობიერებასთან მიმართებაში გასული საუკუნის 90-იან წლებში ხდება აქტუალური. ამ დროისთვის დასავლურ პოსტმოდერნიზმს უკვე დაკარგული ჰქონდა თავდაპირველი ავანგარდისტული პათოსი და კონცეფტუალური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებოდა. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა საქართველოს, ჩვენთან პოსტმოდერნისტული სიტუაცია გაგებული იქნა როგორც თავისუფლების რეალიზაციის ერთგვარი შესაძლებლობა.

„პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის“ საფუძველს ლიტერატურისა და ხელოვნების სფერო წარმოადგენს, თუმცა განსაკუთრებულ აქტუალობას ეს ფენომენი მედიის სფეროში ამჟღავნებს.

პოსტმოდერნისტული ცნობიერებით დეტერმინირებული პრობლემები ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ქართული მასმედიის სტატუსზე და შემდეგი სახით წარმოჩნდება : ა) ალტერნატიული მედიის ფუნქციონალური პოტენციალის გაძლიერება;

ტრანსნაციონალური მედიაინსტიტუტების ექსპანსია; დემოკრატიული პროცესების ტრადიციის წყვეტილობა ქართულ მედიაში. პოსტმოდერნისტულ ქაოსის თავისებურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციული და ალტერნატიული ციფრული მედიის ოპოზიცია, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მედიალანდშაფტი და მედიაკომუნიკაციის სემიოტიკური ფაქტურა; პრინციპულია ტრადიციული საგაზეთო (ე.წ. ქალაქის) ვერსიისა და ალტერნატიული ელექტრონული ფაქტურის დაპირისპირება და ჰიპერტექსტული კომბინირებული საკომუნიკაციო ფაქტურის დამკვიდრება: ნარმოიქმნა ჟურნალისტიკა-მედიოლოგიისა და ბლოგერის ფუნქციონალური ოპოზიცია; ახალი ტექნოლოგიების დახმარებით დაიწყო ტრადიციული ტექსტის მეთოდური ჩანაცვლება ჰიპერტექსტით, რომელიც ზემოქმედების რამდენიმე არხის ერთდროული გამოყენების საშუალებას იძლევა.

Zurab Gotsiridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Postmodernism and Mass communication

Theoretical conceptualization attempts existed in axiological chaos of Mass information sphere at the beginning of the 21th century are linked to postmodern paradigm, though because of its typological diversity based on very inhomogeneous axiological principles have not been reached clear, ambiguous interpretation of this phenomenon.

Unlike philosophy where postmodernism failed to reach philosophic system status postmodernism has been widely recognised in

arts and literature where it played significant role. The phenomenon of postmodernism is linked with different spheres of culture (philosophy, fiction, painting, theatre etc.) and manifests in a different way in these fields.

Influence of postmodern perception to Media (to Georgian Media in particular) is shown quite specifically, what manifests both in structural-functional modification of Mediatext and in transformation of moral and ethic principles.

When analyzing modern phenomenon of the Mass Communication it is significantly important to consider its connection with postmodern conception, which used to play dominant role in the early 20th century, but it became relevant for Georgian perception in 1990s. By that time western post-modernism had already lost its initial avant-garde enthusiasm and was in deep conceptual crisis. As for Post-Soviet Georgia, postmodern situation has been conceived as a way of freedom realization.

The basis of "Postmodern sensitivity" are art and fiction fields but this phenomenon manifests special relevance in Media field.

The problems determined by postmodern perception affects modern Georgian Mass Media status and appears in the following ways: a) enforcement of functional potential of alternative Media; the expansion of transnational media institutes; pause of democratic processes tradition in Georgian Media. We can consider opposition of traditional and alternative digital Medias as a manifestation of postmodern chaos. This immensely changed Media landscape and semiotic shape of Media communication; The confrontation between traditional (paper) and alternate electronic versions and establishment of combined hypertext communicational shape is fundamental: journalist-media and blogger functional opposition has formed;

the replacement of traditional text with hypertext has started with the help of new technologies, which has ability to influence by using several channels simultaneously.

Lyudmyla Hrytsyk

Taras Shevchenko National University of Kyiv

The school of Otar Bakanidze

The positivist phase of comparative literature. Is everything here with a “minus” sign: for or against. Intellectual and institutional changes in Ukrainian-Georgian literary-scientific relations in the late twentieth and early twentieth centuries.

Transformation of a positivist phase of comparative literature. Academic and scientific directions: the ideology of inclusion of the Other in them: “comparative literature has an inner form and content that, for S.T. de Zepetnek, facilitates the intercultural and inter-ethnic study of literature”.

Types and forms of contacts in a globalized world. Risk factors and possibilities of realization of the acquired knowledge. Personalities. Professor O.A. Bakanidze in the Ukrainian-Georgian dialogue of cultures.

Vectors and dimensions of Ukrainian-Georgian scientific and cultural contacts. The mission of literary translation (bilingual books, the anthology “Shistdesyatnyky”, translation by A. Asatiani, R. Khvedelidze). From contact to comparative-typological studies: peculiarities of postcolonial narration: forms and methods (studies by I. Mchedeladze, N. Naskidashvili, S. Chkhatarashvili).

The functionality of the Georgian-Ukrainian scientific discourse (problems of imagology, mental constructs of the Self and the Other, the “gap between language and nationality”, etc.) (on the material of the scientific works of professor O.A. Bakanidze and his school).

Tetyana Dagovych

University of Münster

